რა შეიძლება 6 წამში...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 28 მარტი.

“დინამო” (თბილისი) - “სპარტაკი” (მოსკოვი) 1:0 (0:0).

“სპარტაკი”: ლისიცინი, სოლდატოვი, დიკარევი, კრუტიკოვი, კორნეევი, ნეტო, რეინგოლდი, ფალინი, ლოგოფეტი, სევიდოვი, ჰუსაინოვი.

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

რა შეიძლება გააკეთოს გუნდმა, როცა მატჩის დამთავრებას 6 წამი უკლია?

ეს არაა უქმი კითხვა. 6 წამი ძალზე ცოტაა ფეხბურთისათვის, მაგრამ ამ თამაშის პრაქტიკაში იშვიათი არაა შემთხვევები იმისა, რომ სწორედ მაშინ, როცა მსაჯი წამზომს დაჰყურებს და უცდის დარჩენილი 6 წამის გასვლას, ერთ-ერთი გუნდი მთელ თავის შესაძლებლობებს აქსოვს შეტევაში და სრული ეფექტით იყენებს მინიმალურ შანსს.

სწორედ ეს შანსი გამოიყენა გუშინ თბილისის “დინამომ” თავის უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩში მოსკოვის “სპარტაკთან”. გოლი გატანილ იქნა შეხვედრის ბოლო, 90-ე წუთზე და მან სრული გამარჯვება მოუტანა თბილისელებს.

განვლილი მატჩში იყო ყველაფერი ის, რაც აუცილებელი, გარდუვალი თანმხლებია გაზაფხულის ფეხბურთისათვის, ტექნიკური ხასიათის ლაფსუსები, საერთო შეუთანხმებლობა რგოლებს შორის, დისონანსი ტაქტიკური ამოცანების შესრულებისას, ნერვიულობა, არითმია და სხვ. რა თქმა უნდა, ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში გუნდები შორს არიან თავიანთი ნამდვილი საბრძოლო ფორმისაგან, მაგრამ ძველ მეტოქეთა გუშინდელი შეხვედრის ანალიზი საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ თბილისელი ფეხბურთელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ადრინდელ საკონტროლო მატჩებში. ტონის მიმცემნი თამაშში დინამოელები იყვნენ. მათი კარნახით მიმდინარეობდა ბრძოლა შუა მინდორზეც და მოპირდაპირე ნახევარზეც. “სპარტაკს” ძირითადად წინააღმდეგობის გაწევა უხდებოდა და, მართალია, მას ჰქონდა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა, მაინც მისი საერთო მოქმედების სქემა აშკარად დაცვითი ტენდენციისა იყო.

მაგრამ ერთია საერთო უპირატესობა, ტერიტორიული უპირატესობა, ხოლო სულ სხვა - მისი რეალიზაცია და გამოყენება. მინდვრის შუაგულში თბილისელებს უდაო უპირატესობა ჰქონდათ. მოწინააღმდეგის კართან კი ამ უპირატესობის ნასახიც არ რჩებოდა. საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის მოყვანა, რომ “სპარტაკის” კარში შემტევ გუნდს არც ერთი დარტყმა არ შეუსრულებია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფალინის მიერ საკუთარი მეკარისათვის ძალზე ცუდად მოწოდებულ ბურთს, რომლის ასაღებად ლისიცინს მაღალი ნახტომის შესრულება მოუხდა, ამ უკანასკნელს არ დასჭირვებია კარში დარტყმული ბურთის აღება. ის გოლი, რომელიც ბ. სიჭინავამ გაიტანა იამანიძის მოწოდებიდან, გატანილი კი არა, თითქმის შეტანილ იქნა კარში. კარში დარტყმები ამ მატჩში ჩვენ ვერ ვიხილეთ.

თბილისელები მეტისმეტად დიდხანს უნდებიან მინდვრის ცენტრალური ზონის გავლას. გ. სიჭინავამ და იამანიძემ კარგად ჩაატარეს შეხვედრა, მაგრამ ყოველი მიღებული ბურთის ტარება, მისი შეჩერება, მოითხოვს დროს, ამას მოსდევს გადაცემა წინ, რის შემდეგ ბურთის დამუშავებას იწყებენ ფორვარდებიც და თვითეული ასეთი შეტევა საბოლოოდ ვარდება ცაიტნოტში, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოპირდაპირე

დაცვისათვისაა ხელსაყრელი. მინდვრის შუაში კომბინაციების გათამაშება - ეს მოსკოვის “სპარტაკის” მანერაა, მისი დამახასიათებელი სტილი, თბილისელებმა კი ბურთის ტარებისა და დრიბლინგის მაღალი ტექნიკა უნდა გამოიყენონ არა დროის დაკარგვის, არამედ პირიქით, მისი მოგებისათვის, მოწინააღმდეგის დაცვის რიგებში დეზორგანიზაციის შეტანისათვის. ამას კი ვერ ვხედავთ.

დინამოელთა ფლანგების ძალა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ განვლილ მატჩში ფლანგები არ იყო სრულად გამოყენებული, ხოლო ცენტრში შეტევა ხშირად ქრებოდა, ვინაიდან აქ მოთამაშეთა დიდი თავშეყრა და გზა კარისაკენ ძნელი საპოვნი იყო. აქ, ცენტრში დაუღალავად იმუშავა აფშევმა, მაგრამ მე ვფიქრობ, მან მეტი დრო უნდა მოანდომოს გადაცემაზე გასვლას კარში დარტყმისათვის, ყოველ წამს მზად იყოს ტარანისათვის და არა ბურთის გათამაშებისა ან მრავალსვლიან კომბინაციებში მონაწილეობისათვის. დრიბლიორები თბილისის “დინამოს” მრავლად ჰყავს, მას სჭირდება გადამწყვეტი დარტყმის შემსრულებელი ცენტრში.

ბ. სიჭინავამ ძალზე დიდი სამსახური გაუწია თავის გუნდს თავისი გოლით, რომელმაც ესოდენ საჭირო 2 ქულა მოიტანა. შეიძლება ეს საბოლოო შეტევა დინამოელებს ვერც მოესწროთ დარჩენილ 6 წამში, მაგრამ მატჩის მოგება მოსკოვის “სპარტაკთან” მათ სრულიად კანონიერად დაიმსახურეს.

მეტად საინტერესო გამოდგა თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” დუბლირთა შეხვედრა. თბილისელებმა კარგი თამაში აჩვენეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1. ორივე ბურთის ავტორი იყო ხუციშვილი.

ნ. გულიაევი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
“ლელო”, 29 მარტი, 1964 წ.